N448 2015 წლის 27 აგვისტო ქ. თბილისი

„სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 06/02/2014, 040170020.10.003.017740) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის:

1. მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ელექტრონულ ან გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტი შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს განფასებას (საქონლის მახასიათებლები და ბრენდი, რაოდენობა, ცვლის პარამეტრი და ერთეულის ფასი) ფლობის ღირებულების კომპონენტების

მიხედვით, რომელიც შემდგომში აისახება სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებებში. შემსყიდველი, ელექტრონული ან გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საფუძველზე, გამარჯვებულ პრეტენდენტთან აფორმებს მხოლოდ ავტომობილის სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას, ხოლო ამ წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“-„თ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ავტომობილის ფლობის ღირებულების კომპონენტების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, შემსყიდველი ელექტრონულ ან გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ან მის მიერ ავტორიზებულ ორგანიზაციასთან (მიმწოდებელთან, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას იმ საგარანტიო პირობების ანალოგიურად, რომელსაც თავდაპირველი მიმწოდებელი სთავაზობს შემსყიდველს) დებს ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილი აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ წლოვანებას ან/და გარანტიის პირობებს. გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარდგენილი განფასება ძალაში იქნება ავტომობილის საგარანტიო პირობის ამოწურვამდე, ფლობის განმავლობაში, თუ ავტომობილის ტექნიკური მომსახურება განხორციელდება გამარჯვებულ პრეტენდენტთან, საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ შეთავაზებული საგარანტიო სერვისით გათვალისწინებული საქონლის ფასი შეიძლება დაკონვერტირდეს ელექტრონული ან გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გამოცხადების დღეს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, აშშ დოლარში, ხოლო ანგარიშსწორებისას, ეროვნულ ვალუტაში, საქონლის ფაქტობრივი მიწოდების დღეს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით. ავტომობილების ჩანაცვლება ხდება მხოლოდ ელექტრონული და

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით, ხოლო ჩასანაცვლებელი ავტომობილების ჩაბარება წარმოადგენს ზემოხსენებული ტენდერების განუყოფელ პირობას.“.

2. დანართის „გ“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ.დ“ ქვეპუნქტი:

„გ.დ) სსიპ-ის, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ის, 50%-ზე მეტი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს ხელმძღვანელის მოადგილე, თუ საშტატო რიცხოვნობა ტოლია ან აღემატება 500 საშტატო ერთეულს.“.

3. დანართის ცხრილი №8 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ცხრილი №8

სპეციალიზებული ავტომობილები	
ძრავის მოცულობა არანაკლებ	2.2
ცხენის ძალა არანაკლებ	102
გადაცემათა კოლოფი	მექანიკური, არანაკლებ 5 საფეხურიანი
სიგრძე არანაკლებ	5000
სიგანე არანაკლებ	1755
სიმაღლე არანაკლებ	1760
წვა 100 კმ-ზე არა უმეტეს	10.3 ლიტრი
საგარანტიო პირობები	3 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავი, ხიდი, გადაცემათა კოლოფი) ან 100 000 კილომეტრი, რომელიც ადრე შესრულდება
ელექტრო შუშები	მინიმუმ წინა ორი
აუცილებელი მოთხოვნა	სათადარიგო საბურავი

აუცილებელი მოთხოვნა	მინიმუმ 2 უსაფრთხოების ბალიში
აუცილებელი მოთხოვნა	კონდიციონერი
აუცილებელი მოთხოვნა	აუდიო სისტემა
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის გამაძლიერებელი
აუცილებელი მოთხოვნა	ABS
აუცილებელი მოთხოვნა	4X4 მექანიკური ჩართვის და გამორთვის ფუნქციით
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის სიმაღლის მარეგულირებელი
აუცილებელი მოთხოვნა	სარკეების ელ. რეგულირება.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**